პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

16 ივლისი, ოთხშაბათი, 1986 წ.
№ 137 (9228) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



ეროვნული ბიბლიოთეკა



ამ ფოტოზე აღბეჭდილი გოგო-ბიჭები საქართველოს განათლების სამინისტროს აკრობატიკის რესპუბლიკური სპორტული სკოლის აღსაზრდელები არიან. ამჟამად ისინი თიანეთის სპორტულ-გამაჯანსაღებელ ბანაკებში ისვენებენ და იწრთობიან.

იხ. მე-2 გვ.

## სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

# გავალთ კი ფინალში?

მინსკი, 15 ივლისი (ტელეფონით) ბელორუსიის დედაქალაქში გრძელდება საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული მოჭადრაკეთა ტურნირი.

დილით მოეწყო შეხვედრები გადადებული პარტიების დასამთავრებლად. მოჭადრაკე ქალთა ტურნირში ქ. არახამია დაუზავდა ყაზახეთის წარმომადგენელს. ამრიგად, საქართველოსა და ყაზახეთის გუნდების შეხვედრის ანგარიშია 2,5:0,5. ვაჟთა ქვეჯგუფში გ. ბალათუროვმა მოუგო მოლდაველ კოლეგას, გ. გიორგაძე კი ყაიმზე შეუთანხმდა აზერბაიჯანელ მოჭადრაკეს. შეწყვეტილი მატჩები ასე დამთავრდა: საქართველო — მოლდავეთი 3:2, საქართველო — აზერბაიჯანი 3:2.

გადადებული პარტიების დამთავრების შემდეგ დანარჩენი შეწყვეტილი მატჩების საბოლოო ანგარიშები ასეთია: უკრაინა — აზერბაიჯანი 3,5:1,5, ესტონეთი — მოლდავეთი 2:3.

IV ტურში საქართველოს მოჭადრაკე ქალებმა სძლიეს სომხეთის გუნდს — 2,5:0,5 (მოიგეს ნ. იოსელიანმა, ნ. გურიელმა, ყაიმი ქ. არახამია), მოსკოვისა და ესტონეთის გუნდების შეხვედრა ანგარიშით 2,5:0,5 დამთავრდა.

ამრიგად, ჩვენმა მოჭადრაკე ქალთა გუნდმა 7,5 ქულით დაამთავრა შეჯიბრება. მიიღებს თუ არა იგი ფინალის საგზურს, ეს დასკვნით, V ტურში გაირკვევა, აქ ერთმანეთს შეხვდებიან მოსკოვისა (4,5 ქულა) და სომხეთის (3,5), ყაზახეთის (5) და ესტონეთის (2,5) გუნდები.

ვაჟთა ქვეჯგუფის IV ტურში საქართველოსა და უკრაინის გუნდების შეხვედრის ანგარიშია 2:2 და ერთი გადადებული პარტია (მოიგო კრასენკოვმა, ყაიმი გიორგაძე, ბალათუროვი, წააგო იაელიანმა. პარტია გადადო ჯანჯღავამ), ესტონეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლებმა ანგარიშით 3,5:1,5 დაამთავრეს შეხვედრა.

4 ტურის შემდეგ უკრაინის გუნდს 12,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს, ესტონეთისას — 8,5, საქართველოსას — 8 (1), მოლდავეთისას — 5,5, აზერბაიჯანისას — 5.

## ელვა-ინფორმაცია

კალათბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატზე გამართული მორიგი შეხვედრების შემდეგ გამოვლინდა ნახევარფინალის მონაწილე სამი გუნდი. ეს უფლება მოიპოვეს სსრ კავშირის, ბრაზილიისა და იუგოსლავიის კალათბურთელებმა. ნახევარფინალის მეოთხე საგზურზე პრეტენზიას აცხადებენ აშშ-ის, არგენტინისა და იტალიის ნაკრები გუნდები. მათი დავა გადაწყდება დღევანდელ მატჩებში: აშშ — იუგოსლავია, იტალია — არგენტინა (ამერიკელებს 3 მოგება აქვთ, არგენტინელებსა და იტალიელებს — 2-2). გთავაზობთ გუშინ გამართულ შეხვედრათა შედეგებს.

ბარსელონა. სსრ კავშირი — ესპანეთი 88:83 (47:40), ბრაზილია — ისრაელი 90:75 (40:40), კუბა — საბერძნეთი 74:66 (43:37).

ოვიედო. იუგოსლავია — იტალია 102:76 (52:39), აშშ — კანადა 77:65 (38:26), არგენტინა — ჩინეთი 97:80 (45:45).

# მიმდინარეობს ცურვის კვირეული

ახლა მთელ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს მოცურავის კვირეული, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს მოსახლეობის ფართო ფენების დაინტერესებას ცურვით, კვირეული გვაძლევს საშუალებას კიდევ ერთხელ შევამოწმოთ თავი — ვიცით თუ არა ცურვა, მონაწილეობა მივიღოთ „ღია სტარტებში", ჩავაბაროთ მშდ ფიზკულტურული კომპლექსის ნორმატივები, ჩვენც შევუერთდეთ წყალზე ზეიმის მონაწილეებს. სწორედ ასეთი პროგრამით ჩატარდება მოცურავის კვირეული თბილისში. ქალაქის სპორტკომიტეტში გამართულ თათბირზე ითქვა, რომ ამ ერთი კვირის განმავლობაში ყველა მსურველს უმასპინძლებენ დედაქალაქის საცურაო აუზები, თბილისის ზღვაზე, ლისის ტბაზე და კუს ტბაზე საგანგებო გრაფიკის მიხედვით მასობრივ ღონისძიებებს ჩაატარებენ თბილისის რაიონები. ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსი კვირას ღია სტარტზე იწვევს ყველას, სპორტკლუბი „უშბა" თავის საცურაო აუზზე ჩაატარებს საოჯახო შეჯიბრებებს, კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელმა საწარმოო გაერთიანებამ შესანიშნავი თაოსნობა გამოიჩინა — საცურაო აუზზე აქ ხვალ 17 საათზე და 30 წუთზე საზეიმო ვითარებაში გაიხსნება ცურვის მოყვარულთა კლუბი „ნეპტუნი". ზეიმი წყალზე ჩატარდება თბილისის ყველა შრომითი კოლექტივის საცურაო აუზებზე.







# კეთილი ნების თამაშები



„ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი გიორგი ჩოჩიშვილი მოსკოვიდან გვატყობინებს:

# მოახლოვებული ფინიშის სუნთქვა

ხელბურთელთა შეჯიბრებაში მეორე წრის მატჩები გაიმართა. მოულოდნელი აქ არაფერი მომხდარა, თუმცა სპეციალისტები აშშ-ს ქალთა ნაკრებისგან გაცილებით მეტს მოელოდნენ. ამ გუნდის სუსტი თამაში ამერიკელმა მწვრთნელმა ტორ პოლტანმა ასე განმარტა:

„ხელბურთი ჩვენმა სპორტსმენებმა 1984 წლის ოლიმპიური თამაშების დროს გაიცნეს. ამერიკაში ამ თამაშს სულ რაღაც ექვს ათასამდე მიმდევარი ჰყავს. ამიტომაც მოსკოვში სასწავლებლად და პრაქტიკის მისაღებად ჩამოვედით".

პრაქტიკას აშშ-ს ქალთა გუნდი კეთილი ნების თამაშების დედაქალაქში უსათუოდ მიიღებს, აი ვაჟებს კი, როგორც ირკვევა, სასწავლო არაფერი აქვთ. მათ ორი შეხვედრა ჩაატარეს მოსკოვში და ორივე, მოიგეს: ჩეხოსლოვაკიასთან, როგორც ვიუწყებოდით, ანგარიშით 23:21 და ისლანდიასთან — 22:19.

ორი გამარჯვება აქვს საბჭოთა კავშირის ვაჟთა ნაკრებსაც. მეორე ტურში მან უკონკურსოდ მოასპარეზე რსფსრ-ს ნაკრები დაამარცხა — 32:26. ჩეხოსლოვაკიის ხელბურთელებმა ამ დღეს პოლონელებს აჯობეს — 23:15.

ქალთა შეხვედრები ასე დამთავრდა: სსრ კავშირი — გფრ 26:20, დანია — აშშ 23:22, [illegible] — იაპონია 21:16.



მეოთხედფინალურ შეხვედრაში ბულგარელ ალექსანდრე ხრისტოვთან გაიმარჯვა ხვიჩა ხდრიანმა (მარცხნივ).

### გათამაშების ცხრილები

#### ვაჟები

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 2 | 2 | 0 | 0 | 62-43 | 4 |
| აშშ | 2 | 2 | 0 | 0 | 45-40 | 4 |
| ჩეხოსლოვაკია | 2 | 1 | 0 | 1 | 44-38 | 2 |
| რსფსრ | 2 | 0 | 1 | 1 | 46-52 | 1 |
| პოლონეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 35-43 | 1 |
| ისლანდია | 2 | 0 | 0 | 2 | 36-52 | 0 |

#### ქალები

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 2 | 2 | 0 | 0 | 55-38 | 4 |
| უნგრეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 36-35 | 2 |
| დანია | 2 | 1 | 0 | 1 | 41-51 | 2 |
| გფრ | 2 | 1 | 0 | 1 | 39-41 | 2 |
| იაპონია | 2 | 1 | 0 | 1 | 47-42 | 2 |
| აშშ | 2 | 0 | 0 | 2 | 43-54 | 0 |

იხ. მე-3 გვ.

# ტურნირი ქერჩში

ქერჩში მიმდინარეობს „სიჭაბუკის თასის" საკავშირო გათამაშების ნახევარფინალური შეჯიბრება. ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი ო. უშვერიძე გვატყობინებს: საქართველოს ფეხბურთელებმა ფრედ დაამთავრეს შეხვედრა ბელორუსიის გუნდთან — 1:1 (ბურთი გაიტანა გვასალიამ), ხოლო შემდეგ ანგარიშით 2:0 დაამარცხეს თურქმენეთის ნაკრები. ბურთები გაიტანეს ტულუშმა და ნადარეიშვილმა.

სხვა შეხვედრები: ლენინგრადი — ლატვია 1:0, ლიტვა — თურქმენეთი 1:0, ლენინგრადი — ლიტვა 2:0, ბელორუსია — ლატვია 2:0.

შემდგომ ტურში საქართველოსა და ლენინგრადის ფეხბურთელთა მეტად დაძაბული შეხვედრა დამთავრდა საქართველოს გუნდის გამარჯვებით — 1:0. ლიტველებმა ანგარიშით 4:0 მოუგეს ლატვიის ნაკრებს, ხოლო თურქმენეთისა და ბელორუსიის გუნდების შეხვედრა დამთავრდა თურქმენთა გამარჯვებით — 1:0.

**საქართველოს ფეხბურთელებმა განსაკუთრებით ძლიერად ჩაატარეს შემდგომი ტურის შეხვედრა ლატვიის გუნდთან და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:0. ამ მოგებით ჩვენმა გუნდმა ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.**

სხვა მატჩები: ლიტვა — ბელორუსია 0:0, თურქმენეთი — ლენინგრადი 1:0.

## პიონერული ზაფხული—86







თიანეთი, სკოლა-ინტერნატი. აქ ახლა საქართველოს განათლების სამინისტროს აკრობატიკის რესპუბლიკურმა სპორტულმა სკოლამ დაიდო ბინა. აქ ატარებენ საზაფხულო არდადეგებს ნორჩი აკრობატები და მათი მწვრთნელ-აღმზრდელები. სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკი სისხლსავსე, საინტერესო ცხოვრებით ცხოვრობს. ექსკურსიები, ტურისტული ლაშქრობები, სპარტაკიადა, სპორტული თამაშები, ვიქტორინები... დღის განრიგი ისეა შედგენილი, რომ მოსაწყენად არავის სცალია. რა თქმა უნდა, „დროის ბიუჯეტის" მნიშვნელოვანი ნაწილი სპორტს, აკრობატიკას ეთმობა. სასწავლო-საწვრთნელი პროცესი ისეა დაგეგმილი, რომ აკრობატებმა კარგადაც დაისვენონ, სპორტული ფორმაც შეინარჩუნონ და ოსტატობაც აიმაღლონ. მათგან უძლიერესებმა ხომ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე უნდა იასპარეზონ.

სურათებზე, რომლებიც ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ალექსანდრე კოტორაშვილმა გადაიღო, თიანეთის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკის ერთი დღის შინაარსიანი ცხოვრებაა ალბეჭდილი.





## ჯილდო კარგი შრომისათვის

მეთერთმეტე ხუთწლედში გეგმების წარმატებით შესრულებისა და ტურისტულ ბაზებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალი მაჩვენებლების მოპოვებისათვის ზუგდიდის ტურისტული ბაზის კოლექტივი (დირექტორი ოთარ დარასელია) საქართველოს პროფსაბჭოს, კულტურის მუშაკთა პროფკავშირების, ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს მიერ მესამე ხარისხის დიპლომითა და ფულადი პრემიით დაჯილდოვდა, ხოლო ბაზის მუშაკებს მეთერთმეტე ხუთწლედის დამკვრელის სამკერდე ნიშნები გადაეცათ.

ზუგდიდის ტურისტული ბაზის კოლექტივი ყოველმხრივ მომზადებული შეხვდა წლევანდელ სეზონს.

ამ ტურისტულ ბაზაზე, რომელიც ერთდროულად 180 კაცს მასპინძლობს, საკავშირო მარშრუტები გადის. ტურისტები ყაბარდო-ბალყარეთიდან ტვიბერისა და ნაკრის უღელტეხილებიდან გადმოსვლის შემდეგ, მესტიის გავლით ჩამოდიან ზუგდიდში. აქ ჩამოსულთ ყველა პირობას უქმნიან იმისათვის, რომ კარგად დაისვენონ.

ზუგდიდში ჩამოსული ტურისტები ათვალიერებენ ეთნოგრაფიულ მუზეუმს, ბოტანიკურ ბაღს და სხვა ღირსშესანიშნაობებს, შემდეგ ოჩამჩირისა და ახალი ათონისკენ მიემართებიან და ზღვისპირეთში ამთავრებენ მოგზაურობას.

ტურისტული ბაზის შთაბეჭდილებებისა და წინადადებების წიგნში ტურბაზის მომსახურე პერსონალის მადლიერი დამსვენებლები თავიანთ ჩანაწერებს ტოვებენ.

ახლო მომავალში ზუგდიდს შეემატება ახალი ტურისტული ბაზა, რომელიც მაცხოვრის კარის გორაზე გაშენდება.

მიმდინარე ტურისტულ სეზონში ზუგდიდის ტურისტული ბაზა მიიღებს და კულტურულ მომსახურებას გაუწევს 8 ათასამდე სტუმარს.

ბ. ალშიბაია.
(„ლელოს" კორესპონდენტი).
ზუგდიდი.

# სპორტის ეროვნული სახეობების საკეთილდღეოდ

**ახლახან დერბენდში ჩატარდა სპორტის ეროვნული სახეობებისადმი მიძღვნილი საკავშირო სემინარი, რომლის მუშაობაში ქვეყნის სხვადასხვა კუთხის მეცნიერებთან ერთად მონაწილეობდა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის პროფესორი ვასილ ელაშვილი. აი, რა უამბო მან ჩვენს კორესპონდენტს:**

— ეროვნული სპორტის საკითხებისადმი მიძღვნილი საკავშირო სემინარი ჩვენში პირველად მოეწყო. მისი ორგანიზატორი იყო სპორტსაზოგადოება „უროჟაის" ცენტრალური საბჭო. შესავალი სიტყვით გამოვიდა ამ სპორტსაზოგადოების თავმჯდომარე პეტრე კობიზევი. სემინარზე გამოიკვეთა სპორტის ეროვნული სახეობის განვითარების თანამედროვე ტენდენციები. თითქმის ყველა გამომსვლელმა ხაზი გაუსვა იმას, რომ აუცილებელია ფიზიკური აღზრ-[illegible] ორგანულად შეერწყას ეროვნული სახეობები. ითქვა, რომ ცალკეულ რეგიონებში დავიწყებას მიეცა ტრადიცია და „მოდურმა" სახეობებმა იმძლავრა. არადა, ასეთ ხელოვნურ ჩარევას ყოველთვის უარყოფითი შედეგი მოსდევს.

სპორტის ეროვნული სახეობების განვითარების დიდი მნიშვნელობა ბოლო პერიოდში ფიზკულტურისა და სპორტის საკითხებზე მიღებულ თითქმის ყველა დადგენილებაში და გადაწყვეტილებაშია ხაზგასმული. უნდა ითქვას, რომ ეროვნული სახეობების შესწავლას ყურადღება მიექცა თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში. შარშან მოსკოვში გამოიცა საინტერესო კრებული „სსრ კავშირის ხალხური თამაშები", რომელშიც 400-ზე მეტი თამაშია აღწერილი. მაგრამ ჩვენი ქვეყნის ხალხთა ეროვნული საგანძური მთლიანად გამომზეურებული როდია. ჩემი პირველი ლექცია სწორედ ამ საკითხებს მიეძღვნა, [illegible] ქართული ჭიდაობის ფენომენზე ვისაუბრე. იქვე „კოლმეურნეს" რესპუბლიკური საბჭოს მიერ მივლინებულმა მოჭიდავეებმა საჩვენებელი გამოსვლები მოაწყვეს. სპეციალისტები აღიარებენ, რომ ქართული ჭიდაობა სპორტული ორთაბრძოლის თვითმყოფადი და გამორჩეული სახეობაა. ქართული ჭიდაობის ბევრი ილეთი მტკიცედ დამკვიდრდა ეგრეთწოდებული კლასიკური სახეობების არსენალში, განსაკუთრებით ძიუდოში. ამას, სხვათა შორის, თვით იაპონელებიც არ უარყოფენ.

ჩვენთან ახლა ბევრი რამ კეთდება ქართული ჭიდაობისა და სხვა ეროვნული სახეობების განვითარებისათვის, მაგრამ ცალკეული სპორტული ორგანიზაციები და საზოგადოებები მეტი ყურადღებით უნდა მოეკიდონ ამ საქმეს. თავიანთი სიტყვა უნდა თქვან განათლების მუშაკებმაც, ბავშვებს სკოლის ასაკში უნდა ჩავუნერგოთ სპორტის ეროვნული სახეობების სიყვარული. მახსოვს, ამ რამდენიმე წლის წინ საქართველოს განათლების სამინისტრომ სპეციალური ბრძანებაც გამოსცა სკოლებში ხალხური თამაშების, ქართული ჭიდაობის შემსწავლელი ჯგუფების შექმნის [illegible], მაგრამ პრაქტიკულად თითქმის არაფერი გაკეთებულა.

სემინარზე გამოითქვა აზრი, რომ საჭიროა შეიქმნას სპორტის ეროვნული სახეობების საკავშირო ფედერაცია, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს ეროვნული სპორტის განვითარებას.

## ვუბრუნდებით დაბეჭდილს

# რით შეეცვალათ სტუდენტებს გასაჭირი?..

იმ დღეს ბაგების სტუდქალაქის კლუბში ორი სპარტაკიადის შედეგებს აჯამებდნენ, ცხადია, სტუდენტური სპარტაკიადებისას. მართალია, შეჯიბრების მონაწილეებს რეკორდები არ დაუმყარებიათ, მაგრამ საბჭოთა სპორტის ყველაზე დიდი რეკორდი ხომ მისი მასობრიობა და ხალხის ჯანმრთელობის განმტკიცებაა.

ჯერ უნივერსიტეტელთა სტუდქალაქის სპარტაკიადის მონაწილეებზე ვთქვათ ორი სიტყვა. შეჯიბრება არა მარტო კორპუსებს, არამედ ცალკეულ სართულებს შორისაც კი გაჩაღდა, სტუდენტები ოთხ სახეობაში შეეჯიბრნენ ერთმანეთს.

სტუდქალაქის სპარტაკიადაზე შეირჩა ბირთვი უნივერსიტეტელთა იმ გუნდისთვის, რომელიც სტუდქალაქების საქალაქო სპარტაკიადაზე უნდა გამოსულიყო.

სტუდქალაქების საქალაქო სპარტაკიადამ 11 გუნდი შეკრიბა. ათი უმაღლესი სასწავლებლის სტუდქალაქების ნაკრებებთან ერთად შეჯიბრებაში თსუ სტუდქალაქში მცხოვრებმა უცხოელ[illegible] მიიღეს მონაწილეობა. როგორც მოსალოდნელი იყო, ბრძოლა აქ მეტისმეტად გამწვავდა. [illegible]ბმა სამი ქულით გაუსწრეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდქალაქის გუნდს, პირველი ადგილი დაიკავეს და წინა სპარტაკიადაზე დამარცხებისთვის „რევანში" აიღეს.

ამ ორი სპარტაკიადის შედეგების შეჯამებამ დაგვარწმუნა, რომ უნივერსიტეტის სტუდქალაქელთა მიერ დაძლეული ყოველი მეტრი, მოგებული ყოველი წამი აღმოფხვრის იმ ხარვეზებს, რომელთა შესახებ საუბარი იყო გაზეთ „ლელოს" 1985 წლის 10 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილში „სტუდენტთა გასაჭირი, ანუ იმის შესახებ, რას მოელოდნენ და რა დახვდათ ახალ სტუდენტთა ქალაქში სტუდენტებს". თუმცა ხარვეზთა აღმოფხვრას მარტო სტუდენტთა გულმოდგინება ვერ დააჩქარებს.

გაზეთის კრიტიკული გამოსვლის შესახებ იმსჯელა „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს (თავმჯდომარე ნუგზარ ერაძე) ბიურომ, იმსჯელა და პირველი საქმიანი ნაბიჯებიც გადადგა. აშენდა ფეხბურთის ორი მოედანი, შეკეთდა მინი-ფეხბურთის მოედანი, სტუდქალაქის ბაზები აღიჭურვა საჭირო სპორტული ინვენტარით, იწყება ახალი სპორტული კომპლექსის მშენებლობა.

ბურევესტნიკელებს ეხმარებიან უნივერსიტეტისა და სტუდქალაქის ხელმძღვანელები. განსაკუთრებულ თავგამოდებას იჩენს თსუ სტუდქალაქის გაერთიანებული სტუდსაბჭოს თავმჯდომარე, საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი გელა წიკლაური. სტუდქალაქის სპორტულ ცხოვრებას ფიზიკური აღზრდის მეორე კათედრა (გამგე — სპორტის დამსახურებული ოსტატი დავით კვაჭაძე) შეფობს.

აგერ უკვე მეოთხე წელია, რაც სტუდქალაქში სპორტული აღზრდის საქმეს კათედრის უფროსი მასწავლებელი, წარსულში უნივერსიტეტელთა ცნობილი კალათბურთელი **ზეინაბ მუშკუდიანი** ემსახურება. აქ კარგა ხანია დღის წესრიგში დგას უცხოელებისათვის ინსტრუქტორის შტატის გამოყოფის აუცილებლობა. ინსტრუქტორია საჭირო, აგრეთვე, კვირაობით სისტემატური ტურისტული გასვლების მოსაწყობად ქალაქგარეთ...

სტუდქალაქში ჩამოყალიბდა აერობიკის სექცია, რომელსაც ფიზიკური აღზრდის კათედრის მასწავლებელი ვიოლა გომელაური ხელმძღვანელობს. სამწუხაროდ, ქართველი სტუდენტები დღემდე ვერ მიიზიდეს, ჯგუფში ძირითადად უცხოელები არიან გაერთიანებული.

ამ რამდენიმე ხნის წინ ჩამოყალიბდა სტუდქალაქის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი, რომელიც ქალაქის პირველობისთვის მებრძოლთა მეორე ჯგუფში გამოდის. გუნდის ხელმძღვანელია იურიდიული ფაკულტეტის მესამეკურსელი ვალერი ურუშაძე, უფროსი მწვრთნელი — მისი თანაკურსელი თამაზ ნოზაძე. იმ დღეს, როდესაც ბაგების სტუდქალაქში ორი სპარტაკიადის შედეგებს აჯამებდნენ, შედგა მხატვრული ფილმის „თერთმეტი იმედის" ჩვენება. სტუდენტები ხუმრობით შენიშნავდნენ — ჩვენს ფეხბურთელთა გუნდს „სხოვსაც" ჰყავს თავისი თერთმეტი იმედიო. დიახ, ეს გუნდი ჯერჯერობით იმედებს გვიმართლებს: ხუთი თამაშიდან ორი მოიგო, ორი ფრედ დაამთავრა და მხოლოდ ერთი წააგო.

ერთი სიტყვით, სტუდქალაქელებს ამდენი ხნის გასაჭირი სიხარულით შეეცვალათ — ბურთი და მოედანი მათ განკარგულებაშია.

**ზვიად ქორიძე,**
**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კეთილი ნების თამაშები

## მოახლოვებული ფინიშის სუნთქვა

(დასასრული)

**ფრენბურთელ** ვაჟთა ტურნირში ორი გამოკვეთილი ფავორიტია — მსოფლიოს ექსჩემპიონი საბჭოთა კავშირის ნაკრები და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მსოფლიოს მარშანდელი თასის მფლობელი აშშ-ს გუნდი. სასტარტო მატჩი ორივე გუნდმა ერთნაირი ანგარიშით (3:0) მოიგო. საბჭოთა სპორტსმენებმა ბრაზილიელები დაამარცხეს (15:9, 15:6, 15:3), ამერიკელებმა კი ბულგარეთის ნაკრები (15:8, 15:9, 15:10).

ამ დღეს კიდევ ორი შეხვედრა გაიმართა. ჩეხოსლოვაკიამ შეუპოვარ ბრძოლაში იაპონელებს აჯობა — 3:2 (10:15, 8:15, 15:11, 15:11, 16:14), საფრანგეთმა კი — პოლონეთს 3:1 (5:15, 15:11, 16:14, 16:14).

ტურნირის პირველ ეტაპზე შეჯიბრების მონაწილენი ჯგუფებში ასპარეზობენ. საბჭოთა კავშირი, პოლონეთი, ბრაზილია და საფრანგეთი ერთ ჯგუფში გაერთიანდნენ. მეორე ჯგუფში აშშ-ს, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთისა და იაპონიის სპორტსმენები გამოდიან. ჯგუფურ ტურნირებში გამარჯვებული ორ-ორი კოლექტივი ნახევარფინალებში იბრძოლებს, მერე კი კეთილი ნების თამაშებში გამარჯვებული გუნდის ვინაობაც გაირკვევა.

**ტანმოვარჯიშე** ვაჟებმა მოსკოვში პირადი პირველობა გაითამაშეს (მრავალჭიდში). გამარჯვება და ოქროს მედალი მსოფლიოს ჩემპიონმა იური კოროლიოვმა დაისაკუთრა, რომელიც ბრძოლას პირველიდან ბოლო იარაღამდე ლიდერობდა. კოროლიოვმა მრავალჭიდის ჯამში 117,150 ქულა დააგროვა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ვალენტინ მოგილინი — 116,550, ვლადიმერ არტემიევი (ყველა — სსრ კავშირი) — 116,450, სილვიო კროლი (გდრ) — 116,050 და ვან ჩუნშენი (ჩინეთი) — 115.

**თავისუფალი** სტილის მოჭიდავეებმა გუნდური შეჯიბრების შემდეგ პირადი ადგილები გაითამაშეს. საბჭოთა ათლეტებმა შვიდი ოქროს მედალი მოიპოვეს. დანარჩენი სამი უმაღლესი ჯილდო აშშ-ს სპორტსმენებს ხვდათ.

მაყურებელთა კანონიერი ინტერესი გამოიწვია მძიმე წონის მოჭიდავეთა ფინალურმა შეხვედრამ, რომელშიც მსოფლიოს ჩემპიონი დავით გობეჯიშვილი და ოლიმპიური „ოქროს" მფლობელი ბრიუს ბაუმჰარტნერი (აშშ) ასპარეზობდნენ. მძაფრ, უკომპრომისო ბრძოლაში თავიდანვე დავით გობეჯიშვილი დაწინაურდა. დიდხანს იგი იგებდა კიდეც შეხვედრას, მაგრამ ამერიკელმა ბოლოს და ბოლოს ბრძოლა გაათანაბრა — 4:4. ეს ბოლო ქულა ამჯერად გადამწყვეტი აღმოჩნდა, ვინაიდან შეჯიბრების დებულების თანახმად თანაბარ ბრძოლაში უპირატესობა ენიჭება იმ მოჭიდავეს, რომელიც ბოლოს აიღებს ქულას. ბაუმჰარტნერს გამარჯვება მიეკუთვნა.

წონითი კატეგორიების მიხედვით საპრიზო ადგილები დაიკავეს:

**48 კგ.** 1. ვ. გოგოლევი (სსრკ), 2. მ. ავრამოვი (ბულგარეთი), 3. ტ. სუხბატარი (მონღოლეთი).

**52 კგ.** 1. ვ. ტოგუზოვი (სსრკ), 2. ი. ცონოვი (ბულგარეთი), 3. ა. ცედენსონდომი (მონღოლეთი).

**57 კგ.** 1. ს. ბელოგლაზოვი (სსრკ), 2. კ. დარკუსი (აშშ), 3. ს. ივანოვი (ბულგარეთი).

**62 კგ.** 1. ჯ. სმითი (აშშ), 2. ხ. ისაევი (სსრკ), 3. ა. კუმბაროვი (ბულგარეთი).

**68 კგ.** 1. ა. ფაძაევი (სსრკ), 2. ა. მეტცგენი (აშშ), 3. ა. სირაკოვი (ბულგარეთი).

**74 კგ.** 1. დ. შულცი (აშშ), 2. ა. ვარაევი (სსრკ), 3. რ. სოფიადი (ბულგარეთი).

**82 კგ.** 1. ვ. მოდოსიანი (სსრკ), 2. დ. მარკოვი (ბულგარეთი), 3. ნ. გენჩალპი (თურქეთი).

**90 კგ.** 1. მ; ხადარცევი (სსრკ), 2. ჯ. შერი (აშშ), 3. ს. ნენჩევი (ბულგარეთი).

**100 კგ.** 1. ა. ხადარცევი (სსრკ), 2. ჰ. სეზგინი (თურქეთი), 3. პ. მაკედონოვი (ბულგარეთი).

**130 კგ.** 1. ბ. ბაუმჰარტნერი (აშშ), 2. დ. გობეჯიშვილი (სსრკ), 3. ა. ათანასოვი (ბულგარეთი).

## მეორეზე გადაინაცვლა

**ტალინი.** აფროსანთა რეგატის მესამე სერიის რბოლებმა ლიდერთა რიგებში კორექტივები შეიტანა.

„ვარსკვლავის" კლასში ამერიკელმა მარკ რეინოლდსმა მესამე დღის შეჯიბრება უჯარიმოდ განვლო და ხელთ იგდო ლიდერობა (მას მხოლოდ 3 საჯარიმო ქულა აქვს). თბილისელმა გურამ ბიგანიშვილმა ამ დღეს 5,7 საჯარიმო ქულა მიიღო და საერთო ჯამში მეორე ადგილზე გადაინაცვლა (ამჟამად 8,7 საჯარიმო ქულა აქვს).

სხვა კლასებში სამი რბოლის შემდეგ დაწინაურდნენ: „470" (ვაჟები) — ნ. კოკრეინი (კანადა) — 12 ქულა; „470" (ქალები) — კ. ჯონსონი (კანადა) — 0; „ტორნადო" — ე. სკიპი (აშშ) — 6; „მფრინავი ჰოლანდიელი" — ა. შპილკო (სსრ კავშირი) — 3; „სოლინგი" — ჯ. კოსტეკი (აშშ) — 5,7; „ვინდგლაიდერი" (ვაჟები) — ე. ბოგოტირიოვი (სსრ კავშირი) — 11, „ვინდგლაიდერი" (ქალები) — ი. ბუჟინსკა (პოლონეთი) — 3; „ფინი" — ო. ხოპერსკი (სსრ კავშირი) — 0.

## მარცხი მერვედფინალში

**იურმალა.** ჩოგბურთელ ვაჟთა პირადი ტურნირის მერვედფინალში თბილისელი ვლადიმერ გაბრიჩიძე ჩეხ მარიან ვაიდასთან დამარცხდა — 2:6, 4:6.

ანდრეი ჩესნოკოვმა (სსრ კავშირი) ბობი ბლეირი (აშშ) დაამარცხა — 6:4, 6:2, სერგეი ლეონიუკმა (სსრ კავშირი) — ვალდემარ ფოგოვსკი (პოლონეთი) — [illegible] 6:0, ალექსანდრე [illegible] — 6:2, [illegible]დრე ზვერევმა — ალექსანდრე ვოლკოვი (ორივე — სსრ კავშირი) — 7:5, 6:4.

გაიმართა ქალთა მეოთხედფინალური შეხვედრები: სვეტლანა სავჩენკო (სსრ კავშირი) — დორა რანგელოვა (ბულგარეთი) 7:6, 6:4. [illegible] როლაინ კულმანი (აშშ) [illegible] — მარიან ვერდირი [illegible] (აშშ) 6:0, 6:4, ნატალია ზვერევასა და ბევერლი ბოუზის (აშშ) ორთაბრძოლა გადატანილია მეორე დღისათვის.

## დღეს თამაშებზე

**ფრენბურთი.** იაპონია — ბულგარეთი, ჩეხოსლოვაკია — აშშ, პოლონეთი — ბრაზილია, საფრანგეთი — სსრ კავშირი.

**ძიუდო.** შეჯიბრების საზეიმო გახსნა და შეხვედრები მძიმე (95 კგ ზემოთ) და ქვემძიმე (95 კგ) წონებში.

**ჩოგბურთი.** ქალთა და ვაჟთა ერთეულების ფინალური შეხვედრები. შეჯიბრების დახურვა.

**ფიგურული სრიალი.** მსოფლიოს უძლიერეს ფიგურისტთა საჩვენებელი გამოსვლები.

---

მიულინება გუნდში

# დაპირებებს კი ბოლო არ უჩანს

**წლევანდელი** საფეხბურთო სეზონის დასაწყისში ქუთაისის „ტორპედოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის მისამართით არაერთხელ გამოითქვა უკმაყოფილება. „ლელოშიც" დაიბეჭდა კრიტიკული წერილი. უდავოა, ეს კრიტიკა სამართლიანი იყო! ალბათ გახსოვთ: ტური ტურს მისდევდა, ტორპედოელებს კი, გამარჯვებაზე არაფერს ვამბობთ, ერთი გოლიც არ ჰქონდათ გატანილი. ქუთაისელმა ფეხბურთელებმა პირველად მეექვსე შეხვედრაში აიღეს მეტოქის კარი („შახტიორი" — 2:2), მომდევნო ტურში კი პირველი გამარჯვებაც იზეიმეს („ჟალგირისი" — 2:1), თანაც ეს სტუმრად გამართულ შეხვედრაში შეძლეს. ამან ერთგვარი იმედი ჩაგვინერგა, მაგრამ, როგორც შემდეგ გაირკვა, ამაოდ. ცამეტმა ტურმა ისე განვლო, ქუთაისელებს თამაში აღარ მოუგიათ. ისინი საკუთარ მინდორზეც კი ვერ ამარცხებდნენ მეტოქეებს, ქულათა მარაგის უდიდეს ნაწილს კი ჩვენი ეს გუნდი სწორედ შინ ჩატარებულ მატჩებში აგროვებდა ხოლმე. შარშან, მაგალითად, ბოლო მატჩებში საკუთარ სტადიონზე მოპოვებულმა ხუთმა გამარჯვებამ არა მარტო შეუნარჩუნა გუნდს ადგილი უმაღლეს ლიგაში, არამედ თავისი არსებობის მანძილზე საუკეთესო შედეგიც კი მოაპოვებინა (მე-11 ადგილი).

როდესაც ქუთაისის „ტორპედოს" უფროს მწვრთნელს გივი ნოდიას ვთხოვეთ აეხსნა ჩემპიონატის სტარტზე გუნდის წარუმატებელი თამაშის მიზეზი, მან გვიპასუხა: „ქუთაისის „ტორპედოს" წინაშე თითქმის ყოველი სეზონის დაწყებისას მწვავედ დგას შემადგენლობის დაკომპლექტების პრობლემა. კოლექტივს თითქმის მუდამ აკლდება სამი-ოთხი მოთამაშე. ზოგს რესპუბლიკის პირველ გუნდში იწვევენ, ზოგიერთები სხვა მიზეზებით გვეკარგებიან. საბოლოო ანგარიშით ფეხბურთელთა დენადობა დიდ მასშტაბებს აღწევს. მაგალითად, 1982 წლის შემადგენლობიდან, როცა პირველად ჩავუდექი სათავეში ქუთაისის „ტორპედოს", დღემდე სამი ფეხბურთელი დარჩა გუნდში. ესენი არიან ოთარ კორღალიძე, მერაბ მეგრელაძე და ნოდარ ჭელიძე. 1982 წლის შემდეგ კი სულ რაღაც ოთხი წელიწადია გასული. წლევანდელი სეზონის წინ, მაგალითად, თბილისის „დინამოში" გადაიყვანეს გოჩა ჯოხაძე და დიმიტრი კუდინოვი. სხვადასხვა მიზეზის გამო გუნდი დატოვეს გიორგი ჭილაიამ, ხოლო ცოტა მოგვიანებით — ალეკო კვერნაძემ და კონსტანტინე კერესელიძემ. ყოველივე ამის შედეგად განსაკუთრებით დაზარალდა დაცვის ხაზი, რომლის გაძლიერებაც მცველთა რაოდენობის მომატებით ვცადეთ, ამის გამო, ბუნებრივია, ერთგვარად შესუსტდა შეტევის ხაზი, ასეთ პირობებში ფორმის აღსადგენად დრო გვჭირდებოდა..."

დრო გადიოდა, საქმეს კი გამოსწორებისა არაფერი ეტყობოდა. საბოლოოდ მოხდა ის, რაც ყველაზე არასასურველია და ნებისმიერ კოლექტივს კატასტროფის საფრთხის წინაშე აყენებს: გუნდში შინაგანი განხეთქილება დაიწყო. ვარჯიშისა და ოფიციალური მატჩებისადმი უპასუხისმგებლო [illegible] დამოკიდებულები[illegible]თვის დაისაჯა მარცხენა მცველი ლევან ბარათაშვილი. საქმემ იმდენად სერიოზული ხასიათი მიიღო, რომ ეს ახალგაზრდა ფეხბურთელი კინაღამ გაირიცხა გუნდიდან. უფრო ზუსტად: გივი ნოდიას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა დაეთხოვა ლევან ბარათაშვილი, რომელმაც საკავშირო ჩემპიონატის სამი კალენდარული მატჩი გამოტოვა კიდეც. ქუთაისელთა უფროს მწვრთნელს მხოლოდ იმან შეაცვლევინა გადაწყვეტილება, რომ დასჯილ ამხანაგს თანაგუნდელები ამოუდგნენ მხარში. „ლევანი პერსპექტიული ფეხბურთელია, იგი სჭირდება გუნდს, — გვითხრა ტორპედოელთა კაპიტანმა ოთარ კორღალიძემ. — მან შეიგნო თავის დანაშაული, ბოდიში მოიხადა და გვთხოვა გვეშუამდგომლა მწვრთნელის წინაშე. ჩვენ მას ნდობა გამოვუცხადეთ". „ლევანმა მოინანია თავისი საქციელი და გუნდის ხელმძღვანელობა სწორად მოიქცა, როცა მას საშუალება მისცა დანაშაული გამოესყიდა".—ეს სიტყვები ტორპედოელთა ყველაზე გამოცდილ თავდამსხმელს მერაბ მეგრელაძეს ეკუთვნის. გულშემატკივრებს უთუოდ აინტერესებთ თვით უფროსი მწვრთნელის გივი ნოდიას აზრი. აი, რა გვითხრა მან: „ლევან ბარათაშვილი ჩვენი გუნდის ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელია, მაგრამ იგი მკაცრად დავსაჯეთ. კოლექტივის ინტერესების უგულებელყოფას არავის ვაპატიებთ. ბარათაშვილი „ტორპედოში" დაბრუნდა მხოლოდ და მხოლოდ თანაგუნდელთა ერთსულოვანი მოთხოვნის, მათი მხარდაჭერის შედეგად, მაგრამ ეს იქნება პირველი და უკანასკნელი შემთხვევა არა მარტო ლევანის, არამედ ნებისმიერი სხვა მოთამაშისთვისაც."

ლევან ბარათაშვილის საქციელს, ცხადია, ვერ გავამართლებთ, მაგრამ ახსნა კი ალბათ შეიძლება მოეძებნოს. გამორიცხული არ არის, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელზე გარკვეულწილად იმოქმედა პირველი წრის შუა პერიოდისთვის გუნდში შექმნილმა ნერვულმა, დაძაბულმა ატმოსფერომ, რომელმაც კულმინაციას სწორედ ერევნის „არარატთან" და მოსკოვის „სპარტაკთან" სტუმრად ჩატარებული შეხვედრების დროს მიაღწია.

წარუმატებელი სტარტის შემდეგ შექმნილი რთული მდგომარეობა კიდევ უფრო იმან გაამძაფრა, რომ დაირხა ხმა, თითქოს „ტორპედოს" უფროსი მწვრთნელი უნდა შეეცვალათ. ამ ხმამ, ცხადია, მოთამაშეთა ყურამდეც მიაღწია. ფეხბურთელები გაურკვეველ მდგომარეობაში იყვნენ, მათ არ იცოდნენ, რა მოხდებოდა. აღვნიშნავთ კიდევ ორ ფაქტს: ჯერ ერთი, არ იქნა და საშველი არ დაადგა ტორპედოელთა ბაზაზე მშენებარე რამდენიმე ობიექტის დამთავრებას; მეორეც—გუნდის წევრებს სამი თვის მანძილზე ხელფასიც კი არ მიუღიათ!

ყოველივე ეს, ვფიქრობთ, ქუთაისის „ტორპედოზე" მაღალი კლასის, ძლიერ, ნებისყოფიან და მობილურ გუნდსაც კი გამოიყვანდა წონასწორობიდან. ასე რომ, ქუთაისელთა მიერ ზედიზედ განცდილი რამდენიმე მარცხი გასაგები ხდება. როგორც უკვე აღინიშნა, გუნდში მომხდარი კონფლიქტის კულმინაცია ერევანში და მოსკოვში („სპარტაკთან") ჩატარებულ მატჩებს დაემთხვა. განსაკუთრებით მტკივნეული იყო წაგება მოსკოვის „სპარტაკთან" — 0:5. სწორედ მაშინ შედგა გულახდილი საუბარი უფროს მწვრთნელსა და ფეხბურთელებს შორის, რომლის შემდეგაც მდგომარეობა თანდათან შეიცვალა. ამ სერიოზული, პრინციპული საუბრის დროს გივი ნოდიამ პირდაპირ უთხრა ბიჭებს, თუ მომავალშიც ასე გაგრძელდა, ჩვენ ერთად მუშაობას აზრი არა აქვს და მე დავტოვებ გუნდსო. მწვრთნელის ამ სიტყვებზე ფეხბურთელების პასუხი ერთსულოვანი იყო: მათ განაცხადეს, რომ სჯერათ თავიანთი ხელმძღვანელისა და კრიზისისგან თავის დაღწევას მხოლოდ გივი ნოდიასთან ერთად თუ შეძლებენ. ერთი სიტყვით, სულ რაღაც ხუთი დღის შემდეგ ქუთაისელებმა ბევრად უკეთესად ითამაშეს მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატის ლიდერთან — მოსკოვის „დინამოსთან". მართალია, წააგეს შეხვედრა (1:2), მაგრამ ძლიერ მეტოქეს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს. პირველი წრის ბოლო ორი მატჩი „ტორპედომ" ქუთაისში ჩაატარა და ზედიზედ ორი უმნიშვნელოვანესი გამარჯვება იზეიმა: დაამარცხა დნეპროპეტროვსკის „დნეპრი" (3:2) და ოდესის „ჩერნომორეცი" (2:1). აღსანიშნავია, რომ ორივე შეხვედრაში ქუთაისელები მდევართა როლში აღმოჩნდნენ, მაგრამ ხასიათის სიმტკიცე გამოიჩინეს და უაღრესად საჭირო ქულები მოიპოვეს.

სეზონის წინ ქუთაისელთა გუნდის ხელმძღვანელობას საშუალედო ფინიშისთვის მარაგად 13-15 ქულის მოგროვება ჰქონდა დაგეგმილი. სამწუხაროდ, „ტორპედომ" ვერ შეძლო ამ ამოცანის გადაჭრა, მხოლოდ 11 ქულა დააგროვა და მეორე წრე, ასე ვთქვათ, დეფიციტით დაიწყო, მაგრამ ბოლო თამაშებში კოლექტივის წევრთა ერთსულოვნებამ და გამარჯვებისკენ სწრაფვამ გულშემატკივრებს კვლავ დაუბრუნდა რაღაც იმედი. ქუთაისელთა ხელმძღვანელობის ვარაუდით გადამწყვეტ ბრძოლებში „ტორპედოს" მთავარი მეტოქეები იქნებიან ხარკოვის „მეტალისტი", ალმა-ათის „ქაირათი" და ერევნის „არარატი", თუმცა გივი ნოდია ფიქრობს, რომ აუტსაიდერთა შორის შეიძლება მოულოდნელად აღმოჩნდეს რომელიმე ავტორიტეტიანი გუნდიც, მაგალითად ისეთი, როგორიც მინსკის „დინამოა".

მეორე წრეც დაიწყო. ქუთაისელმა ავტოქარხნელებმა ზედიზედ ორი მატჩი წააგეს სტუმრად. აქ აღარ გავაგრძელებთ მსჯელობას გუნდის მომავალ ბედზე. გულშემატკივრებმა „ტორპედოს" სატურნირო მდგომარეობაცა და დარჩენილ შეხვედრათა კალენდარიც მშვენივრად იციან და თავად შეუძლიათ მათთვის საინტერესო დასკვნების გაკეთება. ერთი რამ ნათელია: „ტორპედოში" სტაბილური სასიკეთო შემობრუნება არ იგრძნობა, მდგომარეობის გამოსწორების დაპირებებს კი ბოლო არ უჩანს.

**ზურაბ ფოცხვერ[illegible]**
„ლელო[illegible]" სპეც. კორ.
ქუთაი[illegible]

**რედაქციისაგან.** [illegible] რა თქმა უნდა, ამ წერილში ტორპედოელთა რთუ[illegible], გადაუჭრელი პრობლემების მხოლოდ ნაწილია მოხსენიებული. თავსატეხი გუნდს გაცილებით მეტი აქვს და როცა ამას ვამბობთ, მხედველობაში გვაქვს წმინდა საფეხბურთო და სათამაშო კომპონენტებიც.

ცნობილია, რომ ქუთაისის „ტორპედო" ხშირად იძულებულია დაცვით თამაშს მიმართოს, დაცვითი თამაში კი სულაც არ არის ქუთაისური ფეხბურთის სტიქია. ამ გუნდმა თავისი ბედი მეტოქის კართან უნდა ეძიოს და არა საკუთარ საჯარიმო მოედანზე, ჩვენ კი იმის მოწმენი ვართ, რომ ზოგიერთ თამაშში ქუთაისის გუნდი მინდორზე ერთი ან ორი წმინდა თავდამსხმელით გამოდის და შუა მინდვრის, დაცვის იმედითაა დარჩენილი, შუა მინდორზე კი ტორპედოელებს ყველაზე უფრო უჭირთ.

ან, ავიღოთ, თუნდაც, დისციპლინის საკითხი. სულ ახლახან, ხარკოვის „მეტალისტთან" მატჩში მესამე გაფრთხილება მიიღო გუნდის კაპიტანმა და საუკეთესო ნახევარმცველმა ო. კორღალიძემ. მესამე გაფრთხილება კარგად მოგეხსენებათ, რასაც ნიშნავს: ო. კორღალიძემ კიდევ უნდა გააცდინოს თამაში, იგი კი უძლიერესია გუნდის შუა ხაზში. ასეთივე სასჯელები უკვე მოიხადეს ქორქიაშვილმა, ფრუიძემ...

რედაქციას იმედი აქვს, რომ რესპუბლიკის მეორე გუნდში მდგომარეობის გაჯანსაღებისათვის დროულად იქნება მიღებული შესაბამისი ზომები.

საქართველოს პირველობა მშდ კომპლექსის მრავალჭიდში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" პრიზზე

# აჭარა, ტყიბული, თბილისი...

**მართალია**, ბოლო წლებში მშდ კომპლექსის მრავალჭიდში საკავშირო ჩემპიონატები არ იმართება, მაგრამ მრავალჭიდელთა რესპუბლიკურ პირველობას ყოველწლიურად აწყობს საქართველოს სახელმწიფო სპორტკომიტეტი. წლევანდელი შეჯიბრება, ტრადიციულად, ოთხ ეტაპად ჩატარდა. ფიზკულტურის კოლექტივების, რაიონებისა და ქალაქების მასობრივ ტურნირებში 92 ათასამდე ფიზკულტურელი მონაწილეობდა, ზონალური შეჯიბრების (6 ზონა) სტარტზე კი 57 ქალაქისა და რაიონის 910 ნიშნოსანი გამოვიდა. ზონალური ასპარეზობა ორგანიზებულად ჩატარდა გურჯაანში, ტყიბულსა და ჭიათურაში, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ გუნდები არ გამოგზავნეს ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ყაზბეგის, ასპინძისა და მესტიის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა.

ფინალურ ტურნირს ტყიბულმა უმასპინძლა. ზონებში გამარჯვებულებს აქ შეუერთდნენ აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, თბილისის, ქუთაისისა და რუსთავის ნაკრები გუნდები. დასკვნით პაექრობაში მონაწილეებმა საკმაოდ მაღალი შედეგები აჩვენეს: ერთმა მრავალჭიდელმა სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა, სამმა — I თანრიგის, ცამეტმა — II თანრიგის. განსაკუთრებით კარგად გამოვიდნენ აჭარის წარმომადგენლები, რომლებმაც საერთო ჩათვლაში 1350 ქულა მოაგროვეს და პირველი ადგილი დაიკავეს. მეორე ადგილზე გავიდა ტყიბულის გუნდი (1080), მესამეზე — თბილისის ნაკრები — 975.

**ტექნიკური შედეგები:**

**I საფეხური**

**გოგონები.** 1. ო. გორდიენკო (თბილისი) — 92 ქულა; 2. ს. ევდოკიმოვა (აჭარა) — 89; 3. რ. ბოლოთაევა (სამხრეთ ოსეთი) — 87. ბიჭები. 1. გ. ვაშაყმაძე (აჭარა)—108; 2. ა. ხაბალოვი (სამხრეთ ოსეთი) — 81, 3. ი. ჭიკაძე (რუსთავი) — 79.

**II საფეხური**

**გოგონები.** 1. ი. ბაუერი —88; 2. ლ. ცხომელიძე — 87; 3. ტ. ორლოვსკაია (სამივე — აჭარა) — 78. ბიჭები. 1. რ. კალანდაძე —104; 2. ს. ჭიჭაღუა (ორივე — აჭარა) — 95; 3. ა. მელქუევი (სამხრეთ ოსეთი) — 87.

**III საფეხური**

**გოგონები.** 1. ტ. მიასიჩევა — 95; 2. ნ. ბარიევა (ორივე — აჭარა) — 93; 3. ნ. გორგოძე (ტყიბული) — 77. ბიჭები. 1. ა. პოტოსიდი (...) — 85; 2. ... თუმანოვი (...) — 84; 3. ... გაბადაძე (ტყიბული) — 78.

**IV-1 საფეხური**

**ქალები.** 1. გ. ქურასპედ... (ქუთაისი) — 88; 2. მ. სამხა... (ტყიბული) — 73; 3. ფ. ვადა...რია (ხობი) — 72. კაცები. 1. ...ზუთკოკი (რუსთავი) — 154; 2. ...ქოჩიშვილი (სამხრეთ ოსეთი) — ...; 3. ო. პროცენკო (აჭარა)—95.

**IV-2 საფეხური**

**ქალები.** 1. დ. ფორჩხიძე (ტყიბული) — 75; 2. ნ. იმედაშვ... (რუსთავი) — 66; 3. ვ. პროკ...ნა (თბილისი) — 55. კაცები. 1. ... თავართქილაძე (აჭარა) — 112; ... გ. დიდბარიძე (ტყიბული) — ...; 3. თ. ტუაევი (თბილისი) — ...

## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში 49

უმაღლესი ლიგა

**გთავაზობთ სსრ კავშირის 49-ე საფეხბურთო ჩემპიონატის XVII ტურის სტატისტიკურ მონაცემებს.**

**„დნეპრი" — „ტორპედო" (მოსკოვი) 1:2 (1:0).** პირველ წარმატებას ამ მეტად დაძაბულ მატჩში მასპინძლებმა მიაღწიეს—ბურთი 30-ე წუთზე გაიტანა ტარანმა. ტორპედოელებმა ანგარიში გაქვითეს 53-ე წუთზე (პოლუკაროვი), რის შემდეგ ი. სავიჩოვმა მეორედ აიღო მასპინძელთა კარი.

დუბლიორები — 5:0.

**„დინამო" (მოსკოვი) — „დინამო" (მინსკი) 0:2 (0:1).** გამარჯვებათა ხანგრძლივი სერიის შემდეგ მოსკოვის დინამოელებმა მარცხი იწვნიეს, თანაც საკუთარ მინდორზე. მინსკელთაგან ბურთები გაიტანეს კონდრატიევმა და ზიგმანტოვიჩმა.

გააფრთხილეს მინსკელი კონდრატიევი.

დუბლიორები — 1:1.

**„ქალგირისი" — „ნეფთჩი" 1:0 (0:0).** გადამწყვეტი გოლი „ნეფთჩის" კარში გაიტანა რასიუკასმა.

გააფრთხილეს ბაქოელთა მეკარე ჟიდკოვი.

დუბლიორები — 1:1.

**„ზენიტი" — „არარატი" 3:1 (2:0).** გოლები: კანიშჩევი, ჟელუდკოვი (11-მეტრიანი), აფანასიევი („ქალგირისი"). ერთი საპასუხო ბურთი რაფ. გალუსტიანმა გაიტანა 11-მეტრიანით.

გააფრთხილეს ლენინგრადელი აფანასიევი.

დუბლიორები — 3:1.

**„ჩერნომორეცი" — „ქაირათი" 2:0 (0:0).** გოლები: ხლუსი, ნაკონეჩნი.

გააფრთხილეს ოდესელი ფეხბურთელები იურჩენკო და ნაკონეჩნი.

ალმაათელმა ფეხბურთელმა ვ. მასუდოვმა უშვერი გინებით მიმართა მსაჯს, რისთვისაც იგი მინდვრიდან გააძევეს.

**„სპარტაკი" — „დინამო" (კიევი) 1:0 (0:0).** ბურთი საჯარიმო დარტყმით გაიტანა ხიდიატულინმა.

დუბლიორები — 2:2.

⊙ **გასვლილ** ტურში პირველი მარცხი წლევანდელ ჩემპიონატში იწვნია კიევის „დინამომ"; პირველი შეხვედრა საკუთარ მინდორზე წააგო დნეპროპეტროვსკის „დნეპრმა".

⊙ **მოსკოვის** „სპარტაკთან" დიდი ანგარიშით მარცხის შემდეგ (0:7) მინსკის „დინამოში" შეიცვალა უფროსი მწვრთნელი: ვ. არზამასცევის ნაცვლად ამ პოსტზე დაინიშნა გუნდის მეორე მწვრთნელი ი. სავოსტიკოვი.

⊙ **ლენინგრადის** „ზენიტის" თავდამსხმელმა ი. ჟელუდკოვმა „არარატთან" შეხვედრაში თავისი 55-ე ბურთი გაიტანა და საკავშირო ჩემპიონატების 100 საუკეთესო ბომბარდირის სიაში შევიდა.

⊙ **უკვე** 11 ტურია წაუგებლად თამაშობს მოსკოვის „ტორპედო". 10 მაისიდან წაუგებლად იბრძოდა მოსკოვის „დინამო", მაგრამ 13 ივლისს საკუთარ მინდორზე მარცხი იწვნია მინსკის თანაკლუბელებთან შეხვედრაში.

⊙ **„ქაირათის"** ფეხბურთელი ვ. მასუდოვი ბილწსიტყვაობისთვის გააძევეს მინდვრიდან. ეს ამ გუნდის მეორე ფეხბურთელია, რომელსაც წლეულს მინდვრიდან აძევებენ. ქუთაისის „ტორპედოს" ფეხბურთელმა ო. კორდალიძემ მესამე გაფრთხილება მიიღო.

⊙ **ხარკოვის** „მეტალისტისა" და ქუთაისის „ტორპედოს" მატჩს სჯიდა ა. გორინასი (ქ. ბირშტონასი).

⊙ **ჩემპიონატის** საუკეთესო ბომბარდირები არიან ბაქოელი მ. აჰმედოვი და მოსკოვის ტორპედოელი ი. სავიჩოვი — 9-9 ბურთი.

**გათამაშების ცხრილი**

**დუბლიორთა შემადგენლობანი**

**მდგომარეობა 16 ივლისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დნეპრი" | 16 | 12 | 2 | 2 | 44-17 | 26 |
| „სპარტაკი" | 15 | 9 | 4 | 2 | 43-16 | 22 |
| „ჩერნომორ." | 17 | 8 | 6 | 3 | 30-20 | 22 |
| „შახტიორი" | 15 | 7 | 5 | 3 | 24-16 | 19 |
| „ზენიტი" | 16 | 7 | 5 | 4 | 26-20 | 19 |
| „დინ." თბ. | 17 | 7 | 4 | 6 | 19-21 | 18 |
| „ტორპ." მ. | 15 | 5 | 6 | 4 | 19-19 | 16 |
| „მეტალის." | 16 | 4 | 7 | 5 | 13-13 | 15 |
| „დინ." მნ. | 16 | 3 | 9 | 4 | 13-17 | 15 |
| „ჟალგირ." | 16 | 5 | 4 | 7 | 21-21 | 14 |
| „დინამო" მ. | 15 | 5 | 4 | 6 | 18-20 | 14 |
| „არარატი" | 17 | 5 | 3 | 9 | 11-21 | 13 |
| „ტორპ." ქ. | 17 | 3 | 4 | 10 | 14-33 | 10 |
| „დინამო" კ. | 8 | 3 | 3 | 2 | 15-14 | 9 |
| „ნეფთჩი" | 16 | 2 | 4 | 10 | 10-30 | 8 |
| „ქაირათი" | 16 | 2 | 4 | 10 | 8-30 | 8 |



## ყველა ადგილი

**ფეხბურთელთა** მსოფლიო ჩემპიონატებში ოფიციალურად პირველი ოთხი ადგილის გათამაშება ხდება. მაგრამ „არაოფიციალურად" სატურნირო ცხრილში გამოჰყავთ ყველა ადგილი.

XIII მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ბევრგან დაიბეჭდა ნაერთი ცხრილი, რომელშიც მოცემულია ჩატარებული თამაშების, მოგებების, ფრედ დამთავრებულ შეხვედრათა და წაგებების, გატანილ-მიღებული ბურთების რაოდენობა. ადგილებიც სწორედ ამ მაჩვენებლების მიხედვით არის გამოყვანილი.

გთავაზობთ მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე გუნდების სატურნირო ცხრილს, რომელიც სააგენტომ შეადგინა:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1. არგენტინა | 7 | 6 | 1 | 0 | 14-5 |
| 2. გფრ | 7 | 4 | 1 | 2 | 8-7 |
| 3. საფრანგეთი | 7 | 5 | 1 | 1 | 12-6 |
| 4. ბელგია | 7 | 3 | 1 | 3 | 12-15 |
| 5. ბრაზილია | 5 | 4 | 0 | 1 | 10-1 |
| 6. მექსიკა | 5 | 3 | 1 | 1 | 6-2 |
| 7. ესპანეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 11-4 |
| 8. ინგლისი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-3 |
| 9. დანია | 4 | 3 | 0 | 1 | 10-6 |
| 10. სსრ კავშირი | 4 | 2 | 1 | 1 | 12-5 |
| 11. მაროკო | 4 | 1 | 2 | 1 | 3-2 |
| 12. იტალია | 4 | 1 | 2 | 1 | 5-6 |
| 13. პარაგვაი | 4 | 1 | 2 | 1 | 4-6 |
| 14. პოლონეთი | 4 | 1 | 1 | 2 | 1-7 |
| 15. ბულგარეთი | 4 | 0 | 2 | 2 | 2-6 |
| 16. ურუგვაი | 4 | 0 | 2 | 2 | 2-8 |
| 17. პორტუგალია | 3 | 1 | 0 | 2 | 2-4 |
| 18. უნგრეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-9 |
| 19. შოტლანდია | 3 | 0 | 1 | 2 | 1-3 |
| 20. სამხრ. კორეა | 3 | 0 | 1 | 2 | 4-7 |
| 21. ჩრდ. ირლან. | 3 | 0 | 1 | 2 | 2-6 |
| 22. ალჟირი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-5 |
| 23. ერაყი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-4 |
| 24. კანადა | 3 | 0 | 0 | 3 | 0-5 |

# ორი ინტერვიუ მსოფლიო ჩემპიონთ...

**ახლოვდება მატჩი გარი კასპაროვსა და ანატოლი კარპოვს შორის. ამ მატჩ-რევანშისადმი ინტერესი ძალზე დიდია. საბჭოთა თუ საზღვარგარეთელი ჟურნალისტები შემთხვევას არ უშვებენ ხელიდან, რაიმე ახალი და საინტერესო დასტყუონ მსოფლიო ჩემპიონსა და ექსჩემპიონს, მათ სეკუნდანტებს. ამჯერად გარი კასპაროვთან ამ წლის მანძილზე, სხვადასხვა დროს აღებულ ორ ინტერვიუს გთავაზობთ. ჩემპიონს ესაუბრებიან დიუსელდორფის გაზეთ „უნზერე ცაიტისა" და აზერინფორმის კორესპონდენტები.**

● **ვინ არიან თქვენი მწვრთნელები?**

— ოსტატები ალექსანდრე ნიკიტინი (მოსკოვი) და ალექსანდრე შაქაროვი (ბაქო), რომლებიც მე ბავშვობის ასაკიდან მავარჯიშებენ, საერთაშორისო ოსტატი ევგენი ვლადიმიროვი (ალმა-ათა), დიდოსტატები გენადი ტიმოშენკო (ნოვოსიბირსკი) და იოსებ დორფმანი (ლვოვი)... მაგრამ „მთავარი მწვრთნელი" იყო და არის დედაჩემი,

● **რას იტყვით იმ ერთი დიდოსტატის ხუმრობაზე, რომელმაც კარპოვს „კასპაროვის დამსახურებული მწვრთნელის" წოდება მიანიჭა?**

— ჩემი იღბალი ყოფილა, შევხვედროდი ისეთ მოჭადრაკეს, როგორიც ანატოლი კარპოვია. მასთან ორ მატჩში გათამაშებული პარტიები ჩემთვის ნამდვილი სკოლა იყო.

● **ჭადრაკის გარდა რა გაინტერესებთ?**

— ახლა მე აზერბაიჯანის უცხო ენების ინსტიტუტს ვამთავრებ, ვსწავლობ ინგლისურსა და გერმანულს. ამ ბოლო დროს ყველაზე მეტად ფილოსოფია და ისტორია მაინტერესებს.

● **შეუძლია თუ არა ჰიპნოზსა და პარაფსიქოლოგიას რაიმე გავლენა მოახდინოს მსოფლიო პირველობის მატჩის მსვლელობაზე?**

—ჩემს აზრსა და ფიქრებზე არავის მოუხდენია გავლენა. ვინც უკეთ თამაშობს, ყოველთვის ის იმარჯვებს.

● **ჭადრაკის გარდა სპორტის რომელ სახეობას „მისდევთ"?**

— ფეხბურთს. ამასწინათ თავდამსხმელად ვითამაშე მოსკოველ ჟურნალისტთა გუნდთან შეხვედრაში. გარდა ამისა, ვცურავ, დავრბივარ, მიყვარს მოტოსპორტი.

● **რას ანიჭებთ უპირატესობას — სპორტს, მუსიკას თუ წიგნებს?**

— ყველას თავისი ადგილი აქვს. მე წიგნებს 4 წლის ასაკიდან ვკითხულობ. ყველაზე მეტად მიყვარს გორკი, ჰემინგუეი და ფოიხტვანგერი. იმ წიგნებს, რომლებმაც ჩემზე დიდი შთაბეჭდილება დატოვეს, კვლავ ვუბრუნდები ხოლმე. ასეთია, მაგალითად, გაბრიელ გარსია მარკესის „მარტოობის ასი წელი". ყველაზე მეტად მოცარტის მოსმენა მიყვარს.

● **მატჩის მსვლელობის დროს პრესას თუ ეცნობით?**

— პირველი მატჩის დროს ცდუნებას ვერ ვუძლებდი, მეორე მატჩის დროს ხელში არ ამიღია გაზეთი. ემოციები ისედაც დიდი იყო, ნერვებს მოფრთხილება უნდოდა („უნზერე ცაიტი").

— ანატოლი კარპოვთან მატჩის დამთავრების შემდეგ „კომსომოლსკაია პრავდის" მკითხველებს აღვუთქვი, რომ განვაახლებდი მეცადინეობას მიხეილ ბოტვინიკის სკოლაში, რომელიც ახლა ბოტვინიკ-კასპაროვის სკოლად გადაკეთდა, მონაწილეობას მივიღებდი მოჭადრაკეთა და ჟურნალისტთა ნაკრები გუნდების მატჩში ფეხბურთში, შევხვდებოდი საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს, ვიმოგზაურებდი ბამზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მატჩ-რევანში არ შედგებოდა. მაგრამ იმის გამო, რომ მატჩ-რევანში დაინიშნა, ბამზე მოგზაურობის ნაცვლად ნოვოსიბირსკში შედარებით ხანმოკლე მოგზაურობით შემოვიფარგლე.

● **მოდით, ვიყოთ თანმიმდევრულნი. ბაქოდან თქვენი გამგზავრების სამი დღის შემდეგ „ვრემიამ" აჩვენა თქვენი სვლები გაზეთ „ტრუდის" მკითხველებთან მიმოწერითი პარტიიდან...**

— მე ახლა ორ ასეთ პარტიას ვთამაშობ — „ტრუდის" მკითხველებთან და ზილ-ის კოლექტივთან. გაზეთი რეგულარულად აქვეყნებს ამ პარტიების მსვლელობას. მოსკოვში წასვლის ძირითადი მიზანი ჩემთვის მაინც ახალი საჭადრაკო სკოლის პირველი სესია იყო. იგი მოსკოვის ახლოს, პესტოვოში გაიმართა. მეცადინეობას მიხეილ ბოტვინიკი და მე ვუძღვებოდით. აქ ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან ნიჭიერმა მოჭადრაკეებმა მოიყარეს თავი. სესიებშუა პერიოდში ყმაწვილები სპეციალური პროგრამით იმუშავებენ, საშინაო დავალებებს შეასრულებენ.

მოსკოვში სხვა ბევრი საინტერესო შეხვედრაც მქონდა, დამამახსოვრდა მსოფლიო ექსჩემპიონ ვასილ სმისლოვის 65-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო, აგრეთვე, საღამო კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში, გამოსვლა ახალგაზრდების წინაშე, რომლებიც ციმბირში დამკვრელურ კომკავშირულ მშენებლობაზე მიემგზავრებოდნენ.

● **ამის შემდეგ თქვენც ციმბირში გაემგზავრეთ...**

— დიახ, ჩავედი ნოვოსიბირსკში და დავრწმუნდი, რომ ამ ქალაქში ჭადრაკი ძალიან უყვართ. ჩკალოვის სახელობის საავიაციო ქარხანაში ერთდროული თამაშის სეანსი გავმართე 25 დაფაზე. ჩემს მეტოქეთა შორის 10 ოსტატობის კანდიდატი იყო. ასეთივე სეანსი მოვაწყო საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილებაში.

● **მატჩ-რევანშამდე ბევრი არაფერი რჩება...**

— დიახ, ამიტომაც მივდივარ მწვრთნელ შეკრებაზე ზაგულბაში (კურორტი ბაქოს ახლოს). სწორედ იქ ვიწყებ ანატოლი კარპოვთან შეხვედრისთვის მზადების ფორსირებას...

• • •

ზაგულბაში ხანმოკლე შეკრებას მოჰყვა კასპაროვის მატჩი ბაზელში (შვეიცარია) ცნობილ ინგლისელ დიდოსტატ ენტონი მაილსთან, რომლის შედეგიც ჩვენი მკითხველებისთვის კარგად არის ცნობილი: 5,5:0,5. მაილსმა განაცხადა, რომ მსოფლიო ჩემპიონმა ჭადრაკის შესანიშნავი გაკვეთილები ჩაუტარა მას. შემდეგ კასპაროვმა იმოგზაურა ინგლისში, სადაც დაათვალიერა კარპოვთან მომავალი შეხვედრის ადგილი, გაეცნო პირობებს. ლონდონში... რსელონაში მას საზეიმო ვითარებაში გადასცეს საჭადრაკო „ოსკარი". ამის შემდეგ ჩემპიონი ისევ ზაგულბაში დაბრუნდა...

პუბლიკაცია მოამზადა
**ბიბი გამრეკელმა**

### მსოფლიო ჩემპიონატი კალათბურთში

# სსრ კავშირი—ბრაზილია

**კალათბურთელთა** მსოფლიო ჩემპიონატი გადამწყვეტ ფაზაში შედის. დღეს ბარსელონაში ერთმანეთს შეხვდებიან სსრ კავშირისა და ბრაზილიის სპორტსმენები. საინტერესო მატჩი გაიმართება ოვიედოშიც: აშშ — იუგოსლავია.

საბჭოთა და ბრაზილიელი კალათბურთელებისთვის დღევანდელი შეხვედრა მერვე იქნება მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში. შვიდიდან ხუთი მატჩი მოიგეს საბჭოთა კალათბურთელებმა, ორი — ბრაზილიელებმა. ამ გუნდების პირველი მატჩი ჩატარდა ჩილიში, მსოფლიოს 1959 წლის ჩემპიონატზე და საბჭოთა კალათბურთელების ძნელი გამარჯვებით დამთავრდა — 66:62. შემდგომ მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც 1963 წელს ბრაზილიაში ჩატარდა, წარმატება მასპინძლებმა იზეიმეს — 90:79. V ჩემპიონატზე, მონტევიდეოში, საბჭოთა კავშირის ნაკრებმა კვლავ სძლია ბრაზილიელებს — 78:74. მომდევნო მატჩი შედგა 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, იუგოსლავიაში. შეხვედრის პირველი ნახევარი საბჭოთა კალათბურთელების დამაჯერებელი გამარჯვებით დამთავრდა — 38:26, მაგრამ შესვენების შემდეგ ბრაზილიელებმა გარდატეხა შეიტანეს თამაშში და გაიმარჯვეს — 66:64. 1974 წელს, პუერტო-რიკოში, საბჭოთა კავშირის ნაკრებმა დამაჯერებლად დაამარცხა ბრაზილიის ეროვნული გუნდი —79:60. უაღრესად პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა და ბრაზილიელი კალათბურთელების შეხვედრას მანილაში, მსოფლიოს 1978 წლის ჩემპიონატზე. შექმნილი სატურნირო მდგომარეობის თანახმად, ამ მატჩში გამარჯვებული სუპერფინალში ითამაშებდა იუგოსლავიის ნაკრებთან. დაძაბულ ბრძოლაში ძნელი გამარჯვება (95:84) მოიპოვა საბჭოთა კავშირის ნაკრებმა. 1982 წელს, კოლუმბიაში, ისევ საბჭოთა გუნდმა გაიმარჯვა — 99:92.

**მერაბ კალანდაძე.**

### ეკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია**

16 ივლისი. დილის ტანვარჯიში — 9.00 (2); კეთილი ნების თამაშები — 9.40 (1); 16.30 (...); 20.20 (2); 21.15 (2); 22.40 (1)... 0.35 (1)... კალათბურთელ... ჩემპიონატის... თა მსოფლიო ... 19.50.

**საქართველოს ტელევიზია**

16 ივლისი. კეთილი ნების თამაშები — 22.40.

**საქართველოს რადიო.** 16 ივლისი. კეთილი ნების თამაშები — 8.15; რიტმული ვარჯიში — 11.40.

რედაქტორის მოადგილე
**თ. გაჩეჩილაძე**

... 27541